საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3468-02
08/11/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და პროცედურების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, მე-20 და 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-7 მუხლისა და კონსტანტინე ვარძელაშვილის 2018 წლის 8 ნოემბრის N19497-35 განცხადების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის არჩევნები ერთ ვაკანტურ ადგილზე.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 9 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge .
3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატი უნდა იყოს სამართლის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
   ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   ბ) სკოლის სახელწოდება;
   გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
7. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამართლის სკოლას, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი